ახალი განთიადი

„შედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძვერს გული„

30 ივნისი - 14 ივლისი 2015 წელი №12 №8094 ელფოსტა : axaligantiadi@gmail.com.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი:

„ზეცამ მეზაშვილი აჩის ჩვენი ქვეყნის ნამდვილი გმირი, მან სიკვდილს გადაარჩინა რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე...„

გვ2.

ძლიერმა სეტყვამ და წვიმამ დააზიანა სოფლები

გვ3.

საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი„ კასპში

გვ4-7.

გაიხსნა გაგი ლაცვანიძის სახელობის ქუჩა

გვ3.



ცეკვერული ფინალისტები ცეკვაში

გვ6.

ერის საგანძურში

გვ6.

გვმოიწერეთ „ახალი განთიადი„ და გახლით ჩვენი მკითხველი!

მამულო, სიცოცხლეო!

ცხვრისი ცი-ცოცხლის გალაცხარჩენელი

გვ2.

დახმარება სტიქიით დაზარალებულებს

გვ3.

ოლიმპიური ჩირაღდანი კასპში

გვ4.

„რა ხალისით გაფაფაქალით დედა ენის ფურცლებს„

გვ7.

84-ე წელია ჩვენი გაზეთი იწერება, ვგლოვობთ, იხარებენ რესპონდენტები იცოლინავენ, ბევრნ ენ ფლიან ყვითელ ფრენენ, ქმნიან ჩვენი ცხოვრებიან შეფოლოვმაზებელ მაყიანენ ... გვმოიწერეთ „ახალი განთიადი„ და გახლით ჩვენი მკითხველი

„ახალი განთიადი„ იძენს ბაინფენენ ფოლოვენს რესპონენ ბაგვაზეთი ფოტომაყიანენ შენგაქმნელია. თხოვნით მიგმანთავთ თანან�ფოლოვენ - ლაფოვეთ თქვენი ყველა ჩვენს მაყიანეში! გვმოგვიგზავნეთ ბაინფენენ ფოტოები!

მამულო, სიცოცხლეო!

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი:

„ზურაბ მუზაშვილი არის ჩვენი ქვეყნის ნამდვილი გმირი, მან სიკვდილს გადაარჩინა რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე„ ...

ზურაბ მუზაშვილი დაიბადა 1977 წლის 29 აგვისტოს, სწავლა დაიწყო აღაიანის საშუალო სკოლაში.

ბავშვობიდან გატაცებული იყო სპორტით, 1988 წლიდან გადავიდა გლდანის სპორტულ სკოლაში, სადაც აქტიურად იყო დაკავებული ვარჯიშით.

1994 წელს მან გლდანის სპორტ-სკოლის სახელით მონაწილეობა მიიღო მნიშვნელოვან სპორტულ შეჯიბრებაში და გახდა ჩემპიონი.

სახელოვანმა მოჭიდავემ ზურაბ მუზაშვილმა მოგვიანებით მოიგო საქართველოს უნივერსიადაც, შემდეგ კიდევ ორჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი, 1998-1999 წლებში იყო საქართველოს პრიზიორი დიდებში, ის აგრეთვე მონაწილეობდა ბაქოში გამართულ ა კლასის საერთაშორისო ტურნირში, სადაც მოიპოვა მესამე საპრიზო ადგილი.

ზურაბ მუზაშვილი მონაწილეობდა თბილისის ფალავნის ტიტულის მოსაპოვებლად გამართულ ორთაბრძოლაში და დამსახურებულად მოიპოვა /74 კგ. წონითი კატეგორია/ მეორე საპრიზო ადგილი. ზურაბ მუზაშვილს დამთავრებული ჰქონდა ფიზკულტურის ინსტიტუტი.

ტრაგიკულ შემთხვევამდე იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის საგანგებო სიტუაციების სახანძრო-სამაშველო ნაწილის უმცროსი ინსპექტორი.

— მინდა პირველ რიგში მივუსამძიმრო ზურას ოჯახს და გითხრათ, რომ ის იყო ჩვენი სამინისტროს დიდი ოჯახის წევრი, - განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა, — ღვარცოფის მოვარდნის მომენტიდან ადგილზე იმყოფებოდა და დახმარებას უწევდა ადამიანებს, რამდენიმე მათგანი გადაარჩინა კიდეც, თუმცა თვითონ შეეწირა ამ ტრაგედიას, ის ნამდვილი გმირია, ვამაყობთ თავდადებული მაშველით.

მაშველმა რამდენიმე ადამიანი გადაარჩინა, მათ შორის, თავისი მეწყვილე, სამაშველო ოპერაციის დასრულების შემდეგ, დისლოკაციის ადგილისაკენ დაბრუნებისას წყალში შეამჩნია სამარშრუტო ტაქსი, რომელშიც იმყოფებოდა ოთხი მგზავრი, მან ოთხივე მოქალაქე გამოიყვანა უსაფრთხო ადგილზე, თუმცა, თვითონ ვეღარ მოახერხა თავის გადარჩენა.

ზურაბ მუზაშვილი 29 აგვისტოს 38 წლის გახდებოდა, ოჯახის ერთგული, დედ-მამის მოსიყვარულე დაოჯახებას გეგმავდა, აღარ დასცალდა...

ზურაბ მუზაშვილის გარდაცვალება სამოქალაქო თავდადების თვალსაჩინო მაგალითია, რომელსაც თაობები გაიხსენებენ და პატივს მიაგებენ, ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

სამოქალაქო თავდადებისათვის

ცხვრისი სიცოცხლის გადასარჩენად

აღაიანელი ზურაბ მუზაშვილი მიმდინარე წლის 13 ივნისს ქალაქ თბილისში, მდინარე ვერეს ხეობაში მომხდარი წყალდიდობის დროს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაიღუპა.

უეცრად მოვარდნილი, დამანგრეველი ღვარცოფის დროს მამაცმა მაშველმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის საგანგებო სიტუაციების სახანძრო-სამაშველო ნაწილის უმცროსმა ინსპექტორმა ზურაბ მუზაშვილმა შვიდი ადამიანის სიცოცხლე იხსნა, მაგრამ, სამწუხაროდ, თვითონ ვეღარ შეძლო თავის გადარჩენა.

— ზურაბ მუზაშვილი არის ჩვენი ქვეყნის ნამდვილი გმირი, მან სიკვდილს გადაარჩინა რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე და შემდეგ თვითონ შეეწირა ამ ტრაგედიას, განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, — მინდა მის ოჯახს, მის მშობლებს მადლობა გადავუხადო, რომ ასეთი გმირი გაუზარდეს ჩვენს ქვეყანას და ხალხს, მინდა ქედი მოვიხარო მისი სულის წინაშე, ჩვენ ღირსეული პატივი უნდა მივაგოთ მის ხსოვნას.

სტიქიის დროს მამაცურად დაღუპული მეხანძრე-მაშველი ზურაბ მუზაშვილი მთავრობის მეთაურის ირაკლი ღარიბაშვილის შუამდგომლობით საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა დაჯილდოვა მედლით "სამოქალაქო თავდადებისათვის". პრემიერ-მინისტრმა სახელმწიფო ჯილდო მაშველის მამას გადასცა დაკრძალვის დღეს.

ზურაბ მუზაშვილი შაბათს, 20 ივნისს აღაიანში, წმინდა გიორგის სახელობის ტაძრიდან საპატიო ყარაულის თანხლებით გაასვენეს და სამხედრო პატივით დაკრძალეს. მისი დაკრძალვის ცერემონიალს ესწრებოდნენ პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი, უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანი მინდია ჯანელიძე, შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დირექტორი ზვიად ქაწაშვილი, საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატები და მთავრობის სხვა ოფიციალური პირები, სამაშველო სამსახურის წარმომადგენლები.

დაკრძალვას ასევე ესწრებოდნენ შიდა ქართლის გუბერნატორი ზურაბ რუსიშვილი, მისი მოადგილე გურამ მაჭარაშვილი; კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი და მისი მოადგილეები ჯამბოლატ ქამხაძე, თეიმურაზ ხიზანაშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ილია ზაქარიაძე და ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლები.



დახმარება სტიქიით დაზარალებულებს

კასპის მუნიციპალიტეტიდან სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად ტვირთი გაიგზავნა.

მადლობა ყველას (შპს "სერგო ჯოჯიშვილი," შპს "თი-ემ-თი", მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო, პარტია ქართული ოცნები-ს კასპის ახალგაზრდული ორგანიზაცია, რესპუბლიკური პარტია, ა/ო კასპის განვითარების ცენტრი, მარიკა პაიჭაძე, კასპის გიმნაზია) ვინც გულთან მიიტანა განსაცდელში მყოფი ადამიანების გულისტკივილი და შეძლებისდაგვარად გაიღო ჩასაცმელი, საკვები პროდუქტები, საოჯახო ნივთები და სხვა.

მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო დაზარალებულებს ფინანსურ დახმარებასაც გაუწევს. გრძელდება არამალფუჭებადი პროდუქტების, პირადი და საოჯახო მოხმარების საგნების შეგროვება.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილედ დაინიშნა თეიმურაზ ხიზანაშვილი

დაბადების თარიღი: 05.02.1976 წ.

განათლება:

1983-1990 წწ. სოფელ კავთისხევის გიორგი შატბერაშვილის სახელობის საჯარო სკოლა.

1990-1993 წწ. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის რესპუბლიკური სკოლა (კომაროვი).

1993-1998 წწ. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიკრო ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი.

2014 წ. თავდაცვის ეროვნული აკადემიის ლოგისტიკის კაპიტნის საკარიერო კურსი.

პროფესიული გამოცდილება:

1998-2002 წწ. სოფელ კავთისხევის თემის საკრებულოს წევრი, საკრებულოს ეკონომიკურ საკითხთა კომისიის ხელმძღვანელი.

2003-2006 წწ. სოფელ კავთისხევის თემის საკრებულოს წევრი.

2007-2008 წწ. ქართულ-თურქული კომპანია "ბლექსიგრუპი"-ს კონტროლისა და მონიტორინგის სამსახური.

2009-2015 წწ. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საარტილერიო ბრიგადის მატერიალური დოკუმენტაციის აღრიცხვის განყოფილების უფროსი.

დასაოჯახებელი.

მისამართი: კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი კავთისხევი.

გაიხსნა გაგი ლაცაბიძის სახელობის ქუჩა

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევში, გაგი ლაცაბიძის სახელობის ქუჩა გაიხსნა.

გაგი ლაცაბიძე, აფხაზეთში დაღუპული მეომარია, რომელმაც ყველაზე ძვირფასი - სიცოცხლე შეწირა სამშობლოს. ქუჩა, რომელზეც გაგი ცხოვრობდა დღეს უკვე მისი სახელობისაა.

ძლიერმა სეტყვამ და წვიმამ დააზიანა სოფლები

კასპის მუნიციპალიტეტში 11 ივნისს ღამით მოსულმა ძლიერმა სეტყვამ და წვიმამ დააზიანა შემდეგი სოფლები: დოესი, გრაკალი, თელიანი, სასირეთი, ქვემო ჭალა, ხვითი, ხოვლე, სამთავისი, ლამისყანა, ზემო და ქვემო რენე, ბარნაბიანთკარი, მეტეხი და სადგურ მეტეხის დასახლება. დაზიანდა ფართობები, ხეხილის ბაღები, ვაზი.

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 12 ივნისის №1021 ბრძანებით, კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2015 წლის 11 ივნისს მოსული ძლიერი სეტყვისა და წვიმის შედეგად მიყენებული ზიანის აღრიცხვის მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი.

სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე თეიმურაზ ხიზანაშვილი - გავიდა ადგილებზე არსებული მდგომარეობის შესწავლისა და ზარალის აღსარიცხავად.

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი სტიქიით დაზარალებულ სოფლებში ზემო და ქვემო რენეში, სამთავისსა და ქვემო ჭალაში იმყოფებოდა. გამგებელმა დაზიანებული ნათესები დაათვალიერა და შეხვდა მოსახლეობას. როგორც მან აღნიშნა, მისი ბრძანებით შექმნილია ზარალის დამთვლელი სამუშაო ჯგუფი, რომელიც ყველა სოფელში აღრიცხავს ზარალის ოდენობას და სრულ ინფორმაციას საქართველოს მთავრობას დროულად აცნობებს.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.



,,ახალი გვნიადლი,, იძიებს ახინდერიდან ბორჯომებს რეიონის გაგვზეთი ოთხო-მატიანის შეგაქმნილია. თხოვნით მიუმართავთ თანამრეიონელებს - ლატოვით თქვენი ჯვალი ჩვენს მატიანეში! გამოგვიგზავნეთ ბინდერიდან ლა ბახალიანი ოთხოები!

„სანთელ-საკმეველი„ საბავშვო ბაღების აღსაზრდელთათვის

არასამთავრობო ორგანიზაცია "სანთელ-საკმეველი" კასპის მუნიციპალიტეტში ქველმოქმედებას აგრძელებს.

ამჯერად, სოფელ დოესის, ხოვლის, სასირეთის, თელიანის და ზემო ხანდაკის საბავშვო ბაღების აღსაზრდელებს, სასაჩუქრე პაკეტები გადასცა.

იუბილარი ანსამბლი „ქორეოლოგია„

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში ქორეოგრაფიულ ანსამბლ "ქორეოლოგია"-ს (ხელმძღვანელი ხათუნა გაგაძე) 10 წლის იუბილე გაიმართა.

10 წლის განმავლობაში ბევრი განმავლობაში საკუთარი თვითშემოქმედება წარმოადგინა და მაყურებლის ოვაციებიც დაიმსახურა.

ანსამბლს იუბილე მიულოცეს საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარემ, ქოვილმა ანსამბლს სამახსოვრო საჩუქარი გადასცა. საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის ინიციატივით ანსამბლ "ქორეოლოგიას" შეეცვალა სახელი და ეწოდა -„ქართლი„ ხოლო კასპის მუნიციპალიტეტში ქო-

ბავშვი ეზიარა ქართულ ტრადიციულ კულტურას. ანსამბლი მრავალი ფესტივალისა და კონკურსის მონაწილეა და ყოველთვის წარმატებებს აღწევს. ანსამბლმა ორი საათის

რეოგრაფ-ქორეოლოგმა რეზო ჭანიშვილმა, საქართველოს სახალხო არტისტმა, ლეგენდარულმა მოცეკვავემ ომარ მხეიძემ. კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილი

რეოგრაფიის ხელშეწყობისათვის - მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი აირჩიეს საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის საპატიო წევრად.

ოლიმპიური ჩირაღდანი კასპში

კასპის მუნიციპალიტეტში, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, დაშვებული დროშების ფონზე, ოლიმპიური ცეცხლის შემოსვლა მოკრძალებულად აღინიშნა. გიორგი სააკაძის სახელობის სკვერში შეკრებილმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა და საზოგადოებამ წუთიერი

დუმილით პატივი მიაგეს თბილისში სტიქიის შედეგად დაღუპულთა ხსოვნას და კიდევ ერთხელ, გამოხატეს ღრმა მწუხარება მომხდარი ტრაგედიის გამო.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი„ კასპში

არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირმა "ორქისი" -კასპის მუნიციპალიტეტში გამწვანების აქცია ჩაატარა.

"ორქისმა" კასპელებს საჩუქრად ათასზე მეტი ჰიმალაის კედარი და ელდარის ფიჭვის ნერგები ჩამოუტანა. ნერგები დაირგა ქალაქის სკვერებში, გადაეცათ სკოლებს, საბავშვო ბაღებს, ეკლესიებს, მრავალსართულიან კორპუსის მაცხოვრებლებს, მოხუცთა თავშესაფარს, კლინიკა "მარიმედს", ბესიკ ნიპარიშვილი მრავალპროფილიან სკოლა-გიმნაზიას.

ორმოების ამოღებასა და ნარგავების გადარგვაში

***დასასრული მე-7გვ.**

კასპის ისტორია



კასპის კულტურის ცენტრში პოეტ ვაჟა ოთარაშვილის წიგნის "კასპის ისტორიის" პრეზენტაცია გაიმართა.

პოეტს მიესალმნენ და წიგნის ირგვლივ ისაუბრეს, როგორც კასპის წარმომადგენლებმა ასევე ჩამოსულმა სტუმრებმა, მათ შორის მეუფე ანანიამ (ჯაფარიძე), ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, წიგნის რედაქტორმა ვაჟა შუბითიძემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა,

წიგნის რედაქტორ-კონსულტანტმა ვახტანგ გოილაძემ, მთარგმნელმა, საზოგადო მოღვაწემ ნანი თარხან-მოურავმა.

ვაჟა ოთარაშვილმა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას და დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა წიგნის გამოცემისა და პრეზენტაციაში მონაწილეობისათვის.

"ჯანსაღი ცხოვრება სუფთა გარემოში"

მაისის ბოლოს ჩვენი ქალაქის კულტურის ცენტრში შპს "ბესიკ ნიპარიშვილი" მრავალპროფილიან სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეებმა, პედაგოგებმა მასშტაბური ღონისძიება ჩაატარეს სახელწოდებით "ჯანსაღი ცხოვრება სუფთა გარემოში", ღონისძიების მხარდამჭერები იყვნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო, მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახური, კასპის მაჟორიტარი დეპუტატი და საზოგადოება "ბილიკი", ღონისძიებას ესწრებოდნენ ქალაქის ოთხივე საჯარო სკოლის მოსწავლეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, ახალგაზრდები.

შეხვედრა დაიწყო პოზიტიური ფლეშმობით, შემდეგ სტუმრებმა გადაინაცვლეს ფოიეში მოწყობილ ნახატების გამოფენაზე, განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ფოიეში განთავსებულმა გიმნაზიის მიერ განხორციელებულმა საკლასო პროექტებისა და ინიციატივების ამსახველმა ბანერმა... ღონისძიებას უძღვებოდნენ გიმნაზიის მეათე კლასის მოსწავლეები ვანო ნონიაშვილი და დათო ქურდოვანიძე, რომლებმაც შეხვედრის პირველი ნაწილი დაუთმეს პატარ-პატარა პრეზენტაციებს, რომლებიც ასახავდა ჯანსაღი ცხოვრების წესის არსს: სწორი კვება, იოგა, ჯანსაღი ძილი, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება, თამბაქოსა და ნარკოტიკული

საშუალებების მავნებლობა, აღნიშნულ თემებთან დაკავშირებით სცენაზე დამონტაჟებულ მონიტორზე სინქრონულად აჩვენებდნენ დოკუმენტურ ფილმებს...

ღონისძიების მეორე ეტაპი მთლიანად დაეთმო ეკოლოგიას, აქ განსაკუთრებით საინტერესო იყო წარმოდგენილი პრეზენტაციები, რომლის ჩვენებისას მაყურებლებიც ჩაერთვნენ, ყველაზე საინტერესო იყო შემდეგი სახის პრეზენტაციები: რა არის ეკოლოგია? დედამიწა ჩვენი სახლია! წყლის საერთაშორისო დღე, დედამიწის საათი, კასპი ეკოლოგიური პრობლემების წინაშე, საქართველო გლობალური სამყაროს ნაწილი, ეკოლოგია და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, პრევენციული ღონისძიებები, ახალგაზრდები გარემოს დასაცავად... პრეზენტაციის მსვლელობისას მოსწავლეებმა ერთმანეთს გაუგზავნეს მესიჯი: "ნუ დაანაგვიანებთ ქალაქს, რადგან კასპიც ჩვენი სახლია", დარბაზი ძალიან დააინტერესა მოსწავლეების მიერ მომზადებულმა თეატრალიზებულმა წარმოდგენამ, ეს იყო აქტივობა, რომელსაც მოსწავლეებმა უწოდეს "ჟანგბადის გასამართლება".

— ჩვენი სკოლა-გიმნაზია გასული წლის დეკემბრიდან აქტიურად მონაწილეობს პროგრამაში "მომავლის თაობა", — განაცხადა შეხვედრაზე სიტყვით გამოსვლისას ღონისძიების ორგანიზატორმა ნინო ნიპარიშვილმა, — საქმე ის გახლავთ, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 8 სასკოლო პროექტი. განსაკუთრებით აღსანიშნავია პროექტი "ჯანსაღი ცხოვრება სუფთა გარემოში", პროექტის მიზანი გახლდათ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ჯანსაღი ცხოვრების წესსა და ეკოლოგიაზე, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და პრობლემების გათავისების უნარ-ჩვევების გამომუშავება ახალგაზრდა თაობაში. პროექტი მოიცავდა რამდენიმე ეტაპს: 1. გამოკითხვა პირველი, შეირჩა სეგმენტი 200 ადამიანი. მოქალაქეებს მოსწავ-

ლეებმა დაუსვეს შემდეგი შეკითხვები: რა არის ჯანსაღი ცხოვრების წესი? ხართ თუ არა ალკოჰოლისა და თამბაქოს მომხმარებელი? ჩამოთვალეთ ჯანსაღი ცხოვრების ხელისშემშლელი ფაქტორები.

მეორე ეტაპი: გამოკითხვა მეორე, შეირჩა სეგმენტი 232 ადამიანი, აქედან 132 მოსწავლე, 50 მშობელი, 50 გარემოვაჭრე, რომელთაც მოსწავლეებმა დაუსვეს შემდეგი კითხვები: რა მდგომარეობაა დაბინძურების თვალსაზრისით კასპში? რა ზიანს აყენებს გადაუმუშავებელი ნარჩენები ცოცხალ ორგანიზმებს? რა განსხვავებაა ვერცხლისფერ და მწვანე ურნებს შორის? თქვენ რას აკეთებთ იმისათვის, რომ ჯანსაღ გარემოში იცხოვროთ?

ამდენად, პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულმა გამოკითხვებმა საზოგადოების, განსაკუთრებით კი მოსწავლე-ახალგაზრდობის სერიოზული დაინტერესება გამოიწვია, უფრო მეტიც, გაიზარდა ამ სასკოლო პროექტის მონაწილეთა რაოდენობა. სწორედ ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა ძალებითა და ინიციატივით გამართულ ღონისძიებას ბევრი ადამიანი დაესწრო.

ღონისძიებას სტუმრობდა და სიტყვით გამოვიდა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი, რომელიც გულითადად მიესალმა ახალგაზრდებს და ისურვა, რომ ეს არ იქნება ერთჯერადი ღონისძიება და ანალოგიური ხასიათის კულტურული ღონისძიებები და შეხვედრები ძალიან სასარგებლოა არა მარტო ქალაქისათვის, ჩვენი მომავლისთვისაც.

ღონისძიების მნიშვნელობასა და გიმნაზიის მოსწავლეების მიერ განხორციელებულ პროექტების აქტუალურობაზე ისაუბრეს: კასპის საკრებულოს მაჟორიტარმა დეპუტატმა ალექსანდრე გზირიშვილმა, საზოგადოება "ბილიკის" წარმომადგენლებმა მარიკა მღებრიშვილმა და ლია გორელიშვილმა, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ. აქტიურობდნენ მოსწავლეები: ივერი ნონიაშვილი, მარიამ ორბელაშვილი, მარიამ ბერიანიძე, მარიამ ყაზარაშვილი, რომლებიც ამომწურავი ინფორმაციებით გამოვიდნენ შეკრებილთა წინაშე, მოსწავლეები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს დაჯილდოვდნენ სიგელებით. შეხვედრის ბოლო აკორდი გახლდათ კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ გიმნაზიის მოსწავლეები, მათ მიერ შესრულებულმა ქართულმა და უცხოურმა ჰიტებმა მოწონება დაიმსახურა.

"ჩვენ ვსწავლობთ ინგლისურს"

ისეთი ლამაზი, საინტერესო და სანახაობრივი, თეატრალიზებული პრეზენტაცია გამართეს კასპის მეოთხე საჯარო სკოლის მეორეკლასელმა მოსწავლეებმა, რომ შესაძლოა ამ ღონისძიების "სცენარით" სხვებმაც იხელმძღვანელონ ანუ, ორმოცდახუთწუთიან ღია გაკვეთილზე მოსწავლეებმა წარმოადგინეს პირველ და მეორე კლასში შესწავლილი ინგლისური მასალის პრეზენტაცია. ამ მასალის შესწავლა კი მოახერხეს გამომცემლობა' MACMILLAN' სახელმძღვანელო დონე 1 "English World" მეშვეობით. მოკლედ, როგორც პედაგოგები და მოსწავლეების მშობლები ჰყვებიან ბავშვებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს, კარგად იმეცადინეს და შეძლეს აღნიშნული სახელმძღვანელოს ათვისება.

— კლასში ირიცხება 22 მოსწავლე, 10 ბიჭი და 12 გოგონა, ბავშვებმა პრეზენტაციაზე თვალნათლივ მოახდინეს სახელმძღვანელოს თორმეტივე თავში შესწავლილი მასალის დემონსტრირება, — საუბრობს ინგლისურის მასწავლებელი ლელა ონიკაშვილი, — სწორედ ეს იყო დღევანდელი ჩვენი ღია გაკვეთილის დანიშნულება, მოკლედ, პრეზენტაცია მიზნად ისახავდა: მოსწავლეების ინგლისურ ენაში განვითარებულ უნარ-ჩვევების გაღრმავებას და მათ ერთობლივ დინამიკაში ჩვენებას, ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი ნათლად დაინახეს მშობლებმაც და პედაგოგებმაც, რაღა თქმა უნდა, მოსწავლეებმა.

წლის განმავლობაში მოსწავლეებმა შეისწავლეს 200 სიტყვა: არსებითი სახელი, ზმნა, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი და შესწავლილი მასალა მშვენივრად გამოიყენეს პრეზენტაციაზე, კერძოდ, შინაარსიანად შედგენილ დიალოგებში, პატარ-პატარა თეატრალიზებულ წარმოდგენებში, სიმღერებსა და მხატვრულ კითხვაში... პრეზენტაცია გახსნეს მოსწავლეებმა: საბა ნონიაშვილმა, ხატია გინტურმა, თათული ტყეშელაშვილმა, ლიზი მიდელაშვილმა, ანი ოდიშვილმა, ანუკი ილურიძემ, რომლებმაც ინგლისურ ენაზე წარმოადგინეს თემები: The gorden სადაც აღწერეს ზაფხულის პეიზაჟი ეზოში, "The earth and the sky" My room ჩემი ოთახი, დედამიწა და ცა. ორმოცდახუთწუთიან ღია გაკვეთილში მონაწილეობდა ყველა მოსწავლე, ზოგმა თეატრალიზებულ დიალოგში მიიღო მონაწილეობა, მაგალითად, გუგა გურგენაშვილმა და ხატია გინტურმა ინგლისურად ისაუბრეს ქუჩაში გადასვლის წესებზე, ერთმანეთის მონაცვლეობით გამოდიოდნენ წყვილები და საუბრობდნენ სხვადასხვა

თემაზე: მისალმება, გაცნობა, დამშვიდობება, შეთავაზება და სხვა, ტყუპებმა ელენე და მარი ჩიტიშვილებმა ისაუბრეს ოჯახის წევრებზე, ბავშვებმა ინგლისურად უშეცდომოდ წაიკითხეს ლექსები, შეასრულეს სიმღერები ბუნებრივ მოვლენებზე, ფრინველებზე, ცხოველებზე, სასწავლო ნივთებზე, პატარა ჯამბაზებიც გამოვიდნენ და გუნება-განწყობა გაუხალისეს მოწვეულ

*დასასრული მე-8 გვ.

ერის საგანძურში

რეცენზიის მაგიერ

კარგი საჩუქარი მიიღეს პოეზიის მოყვარულებმა. გამოვიდა ქართული ქრისტიანული პოეზიის ათტომეულის მე-3 ტომი – "საბავშვო ქრისტიანული ლექსები" (გამომცემლობა "ქაღალდის წერო"), რომელიც გამოიცა თვითმმართველი ქალაქის, თელავის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით.

წიგნის პრეზენტაცია გაიმართა 2015 წლის პირველ ივნისს – ბავშვთა დაცვის დღეს, ღონისძიება გაიმართა საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობისა და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში, სადაც მიწვეული იყვნენ ამ და წინამორბედი, პირველ და მეორე ტომებში დაბეჭდილი ნაწარმოებების ავტორები, მკითხველები... საგულისხმოა, რომ მიწვეულ ავტორთა შორის გახლდათ ჩვენი თანაქალაქელი, ცნობილი ჟურნალისტი და პოეტი, ქალბატონი ნორა ედიშერაშვილი, რომლის ლექსები შეტანილია ამ ათტომეულის მე-2 / "ანგელოზი ქართულ პოეზიაში"/ და მე-3 /"საბავშვო ქრისტიანული ლექსები"/ ტომებში. ვფიქრობთ, რომ ფრიად კეთილშობილური და საშვილიშვილო ამოცანა დაუსახავს მიზნად ქართული ქრისტიანული პოეზიის ათტომეულის სარედაქციო კოლეგიას, შეკრიბოს და ათ ტომში განათავსოს ქართულ მწერლობაში შექმნილი ღვთის სადიდებელი საგალობლები ეკლესია-მონასტრებზე და ანგელოზებზე დაწერილი პოეტური თუ ჰიმნოგრაფიული ნაწარმოებები მეექვსე საუკუნიდან დღემდე.

ათტომეული გამოიცემა ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის "წმინდა ნინოს ჯვარი" – ფარგლებში, გამომცემელი "ქაღალდის წერო", ორგანიზატორები არიან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი, გამომცემლობა "პალიტრა –L", საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო ფონდი, საპატრიარქოს ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი. პროექტს ახორციელებს და ფესტივალის ხელმძღვანელია სამშვიდობო ორგანიზაცია "სადაკოს" თავმჯდომარე, რეჟისორი ლია დაუშვილი, პროექტის ავტორი და შემდგენელ-რედაქტორი, მწერალი აკაკი დაუშვილი.

ჩვენს ხელთ არსებული ათტომეულის მე-2 (გამოიცა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით) და მე-3 ტომებში წარმოდგენილია ქართული ხალხური

პოეზიის ნიმუშები, შიო მღვიმელის /V1 საუკუნე/, იოანე მინჩხის /X საუკუნე/, მიქაელ მოდრეკილის /X საუკუნე/, იოანე მტბევარის /X საუკუნე/, ბასილი მთაწმინდელის /X1 საუკუნე/, დემეტრე 1 – ის , იოანე შავთელის, თეიმურაზ მეორის და სხვა სასულიერო თუ საერო მოღვაწეთა ნაწარმოებების ფრაგმენტები, ინტერესით გაეცნობით დიდი ქართველი მწერლების ბესიკის, დავით გურამიშვილის, გრიგოლ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, გრიგოლ აბაშიძის, ანა კალანდაძის, შოთა ნიშნიანიძის, რეზო ამაშუკელის და სხვა ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი, ან სულაც უცნობი ავტორების ნაწარმოებებს.

გამოსაცემად მზადდება ქართული ქრისტიანული პოეზიის ათტომეულის მე-4 (ღმერთი ქართულ პოეზიაში) და მე-5 (ღვთისმშობელი ქართულ პოეზიაში) ტომები... ქრისტიანული პოეზიის ფესტივალი "წმინდა ნინოს ჯვარი" გაიმართება 2015 წლის სექტემბერში.

რუსუდან ხეჩუაშვილი.

უცხოელები საქართველოზე

მოგზაურობა საქართველოში

ჟან შარდენი

„ქართველების ტომი უმშვენიერესია აღმოსავლეთში და„...

1672 წლის ნოემბრის 6-ს, ოდესღაც ერთიანი, მაგრამ იმხანად სპარს-ოსმალთა მიერ დანაწილებული საქართველოს ნაპირებს ზღვით ხომალდი მოადგა. იქიდან გადმოვიდა 29 წლის მდიდარი ფრანგი ვაჭარი, რომელსაც თან დიდძალი განძეულობა მოჰქონდა. მას სურდა, რადაც უნდა დასჯდომოდა, ეს თვალ-მარგალიტი და სიმდიდრე საქართველოს გავლით სპარსეთში ჩაეტანა. ალბათ გასაკვირია, რომ ამ ფრანგ მოგზაურს, იუველირსა და ძვირფასი ქვებით მოვაჭრეს, ჟან ბატისტ შარდენს საქართველოში უკეთესად იცნობენ, ვიდრე საკუთარ სამშობლოში. მისი სახელი ლამის ყველა ზრდასრულმა ქართველმა ისევე იცის, როგორც ეროვნული ისტორიის სხვა მნიშვნელოვანი პიროვნებისა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ შარდენის შესახებ მოგვითხრობენ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები – ისტორიოგრაფიული, ეთნოკულტურული და ანთროპოლოგიური თვალსაზრისით, მისი მოგზაურობა ფასდაუდებელ სურათებს ინახავს; მეორეც – ძველ თბილისში მდებარეობს თავშეყრის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ადგილი, შარდენის სახელობის ქუჩა, რომელიც მომხიბვლელი არქიტექტურით, გამორჩეული გალერეებითა და კაფეებითაა განთქმული.



ფრანგი პროტესტანტი იუველირის ოჯახში აღზრდილ შარდენს, ვაჭრობის ნიჭთან ერთად, სიმდიდრე, განათლება და სიმამაცეც მოსდევდა, კალამიც უჭრიდა და ჭკუაც. მის წიგნს მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა მიწებზე თვით მონტესკიე და ვოლტერი აღუფრთოვანებია. ერთი ამოსუნთქვით იკითხება მოგზაურობის ის ნაწილიც, რომელიც საქართველოს შეეხება. ამ აღწერილობის მთავარი ღირსება კი გულახდილობა გახლავთ.

შარდენი ყველაფერს მახვილი მზერით აღიქვამს, მიუკერძოებლად აღწერს წვრილმანებსაც კი. ის ობიექტური დამკვირვებელია, საქებარსაც ხედავს და აუგსაც. თუმცა, მიიჩნევს, რომ მიუხედავად ნაკლოვანებებისა, ქართველები გაუტეხელი და მამაცი ხალხია. ისინი თავგანწირულად იცავენ თავიანთ თავისუფლებას. გარდა ამ საზოგადო თვისებისა, შარდენს არ გამორჩენია ერთიანი ტოლერანტული გარემო, რომელიც თბილისში სუფევს, სადაც ყველა ერს თავისუფლად შეუძლია იცხოვროს საკუთარი რჯულისა და ჩვეულებისამებრ. ბევრი მზაკვარი და ვერაგი ადამიანი შეხვედრია, მაგრამ შარდენი წერს, რომ ქართველთა უმეტესობა თავაზიანია და მოსიყვარულე გული აქვს; ისინი თავმომწონენი და თავდაჭერილნი არიან, გამოირჩევიან სტუმართმოყვარეობით, ნიჭიერებით, მაგრამ ბევრ საქმეში წვრთნა აკლიათო.

ქართველების ტომი უმშვენიერესია აღმოსავლეთში და, შეიძლება ითქვას, მთელ ქვეყანაზედაც. აქ არ მინახავს არც ერთი ცუდი სახის ქალი ან კაცი... შეუძლებელია,

*დასასრული მე-8გვ.

ცდუმრავლ უნივერსიტეტში

სსიპ – გორის სასწავლო უნივერსიტეტსა და კასპის შპს "ბესიკ ნიპარიშვილი" მრავალპროფილიან სკოლა-გიმნაზიას შორის არსებულ მემორანდუმის საფუძველზე ბიოლოგიის მასწავლებელი ნანა დემეტრაშვილი და მერვე-მეცხრე კლასის მოსწავლეები იმყოფებოდნენ აღნიშნულ უნივერსიტეტთან არსებულ სასწავლო-პროფესიულ კოლეჯში "განთიადი", სადაც შეხვდნენ რძის გადამუშავების სპეციალობის მასწავლებელს და რძის გადამუშავების სასწავლო საწარმოს მენეჯერს ბატონ ზურაბ პაპიაშვილს. მოსწავლეებმა მოისმინეს ლექციები თემებზე: "რძის პროდუქტების როლი კვებით რაციონში", "რძის გადამუშავების ტექნოლოგიები", "საქართველოში რძის მრეწველობის განვითარების ისტორია და მომავლის პერსპექტივები". აღინიშნა, რომ საქართველოში მხოლოდ თელავისა და გორის სასწავლებლები ამზადებენ რძის გადამუშავების სპეციალისტებს, თუმცა,

აღნიშნული დარგი საკმაოდ პერსპექტიულია ჩვენი ქვეყნისათვის. შესაძლებელია, რომ რეგიონში, სადაც არსებობს ბუნებრივი რესურსები, სერიოზული ბიზნეს-ინტერესებიც გამოიკვეთოს.

მოსწავლეებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს სხვადასხვა ლაბორატორიული ხელსაწყოები, ნახეს სასწავლო საწარმოში არსებული დანადგარები, გაეცნენ ყველისა და მაწვნის მომზადების ტექნოლოგიურ პროცესებს. გამოითქვა მოსაზრება, რომ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით დაამუშაონ თემები. გადაწყდა: მოსწავლეები თათია ხორგუაშვილი, მარი გაბოძე და დავით მარიამიძე მუშაობენ თემაზე: "ბაქტერიების როლი ადამიანის ყოფა-ცხოვრებაში", ნატა ბაქაური და ხატია სამნიაშვილი ამუშავებენ თემას "რძის პროდუქტების კვებითი ღირებულება", ხოლო გიორგი თამარაშვილი ამზადებს ნარკვევს რძის მრეწველობის განვითარების სამომავლო პერსპექტივების შესახებ. მოსწავლეებმა გადაწყვიტეს, რომ სამომავლოდ კიდევ უფრო გააფართოონ ურთიერთობა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან და მიიღონ აქტიური მონაწილეობა სხვადასხვა სამეცნიერო თუ კულტურულ ღონისძიებებში.

საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი ,,ორქისი,, კასპში

*დასასრული.

აქტიური მონაწილეობა მიიღეს გამგეობის აუდიტის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურების, კულტურის, სპორტის, მუზეუმების გაერთიანების დაწესებულებების, ქალაქ კასპის ადმინისტრაციული ერთეულის, შპს "კასპის კეთილმოწყობი"-ს თანამშრომლებმა, შპს ბესიკ ნიპარიშვილი მრავალ პროფილიანი სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეებმა. აქციის მონაწილეებს

"ორქისი" ტორტით და ცივი სასმელებით გაუმასპინძლდა, ასევე გადასცა მაგიდის კალენდრები, ტრიპლეტები ბუნების და გარემოს დაცვაზე, ნუგზარ ბუაჩიძის და მაია ახალკაცის თემატურ საკითხზე გამოცემული წიგნები.

ორგანიზაცია ორი წელია მეგობრობს კასპის მუნიციპალიტეტთან, რომელიც ატარებს ტრენინგებს, დასუფთავების აქციების დროს ეხმარება მაისურებით, ტომრებით და ხელთათმანებით.

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მადლობას უხდის არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირ "ორქისს."

,,რა ხალისით გადავშლით დედა ენის ფურცლებს,,

"ძვირფასო სტუმრებო, სიხარულით მოგესალმებით ქალაქის პირველი საბავშვო ბაღის დამამთავრებელი ჯგუფის აღსაზრდელები, აქ გატარებული წლები დაუვიწყარი, ულამაზესი და უძვირფასესია ჩვენთვის, სწორედ ამ ბაღის კედლებში ვისწავლეთ მეგობრობა და სიყვარული, უფროსის პატივისცემა, ქედს ვიხრით ჩვენი საყვარელი აღმზრდელ-მასწავლებლების წინაშე, რომლებმაც იზრუნეს ჩვენი მომავლისათვის", — აი, ამ სიტყვებით მიმართეს გაცილების ზეიმზე შეკრებილებს ლამაზ სამოსში გამოპრანჭულმა ლამაზმანებმა: ელენე გოგიტიშვილმა, ია ელოშვილმა, ნინო მერებაშვილმა, დავით აზნარაშვილმა, რაუ ფი ბადალოვმა, ნიკა კოტიაშვილმა, მარი იბრაგიმოვამ, საბა მარქარაშვილმა, შალვა მერებაშვილმა, გიორგი მწითურიძემ, გიორგი პაიჭაშვილმა, ალექსანდრე პოპოვამ, ნიკა ტატუნაშვილმა, ნათან ტატუნაშვილმა, ჯენი ტურაშვილმა, ლაზარე ქენქაძემ, საბა ქურხაშვილმა, სალომე შალუტაშვილმა, ნინი შერმადინმა, ნატალი ჯანელიძემ, ლუკა ჩახაიამ, რაილ ოღლი ზაითხანმა. დიახ, ახალ სასწავლო წელს ეს ბავშვები ქალაქის საჯარო სკოლებს მიაშურებენ.

— მართლაც რომ, ძლიერი ნაკადი გვყავდა წელს, უნარ-ჩვევები, აქტიურობა, ზოგადი ცოდნა, გნებავთ ინდივიდუალიზმი, თითქოს ყველაფერმა ერთად მოიყარა თავი, — სიამაყით განაცხადა ბაღის გამგემ მზიური ჭალიაშვილმა, — ამდენად, ძალიან

დაიმედებული ვარ, რომ საჯარო სკოლების დაწყებითების მასწავლებლებს, ვისთანაც მოხვდებიან ჩვენი კურსდამთავრებულები, სრული "კომფორტი" ელით, რადგან ეს ბავშვები ნებისმიერ სიტუაციაში გამოავლენენ მომზადების მაღალ დონეს.

ინტერესი, აქტიურობა, პატარისთვის შესაფერისი სითამამე, მოკლედ, საერთო მომზადების დონე ისე ლამაზად და მოხდენილად, დამაჯერებლად გამოავლინეს ბავშვებმა რომ თვალს ვერ მოვაცილებდით. რასაკვირველია, ამაზე წინასწარ იზრუნა აღმზრდელმა მაკა ღვინიაშვილმა, რომელმაც დაწერა ძალიან ლამაზი სცენარი სათაურით "რა ხალისით გადავშლით დედა ენის ფურცლებს", ბუნებრივია, ეს პატარა თეატრალიზებული გამოსვლა მოსწავლეებმა და მასწავლებელმა იაკობის დედა ენას მიუძღვნეს. პატარა დეკლამატორები ხოტბა-დიდებას ასხამდნენ "ნანასავით საამურ აი ას". ლექსების, ანდაზების თქმით რომ იჯერეს გული, მერე სიმღერით /მუსიკის მასწავლებელი შორენა ჯოჯიშვილი / და ცეკვითაც მოიწონეს თავი. სადღესასწაულო ზეიმის მომზადებაში ბავშვებს ეხმარებოდნენ აღმზრდელის თანაშემწე ლელა ზაქარაშვილი, მეთოდისტი თეა მერებაშვილი, ლოგოპედი დოდო ონიანი, ფსიქოლოგი ნინო ხოკრიშვილი.

წლევანდელი საზეიმო გაცილება დიდხანს ემახსოვრებათ ბავშვებსა და მათ მშობლებს, მასწავლებლებს.

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება.

,,სკოლისაკენ მივიჩქაროთ,, ...

ბავშვების საზეიმო გაცილება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დამამთავრებელი ჯგუფების ერთგვარი რიტუალია. ამისათვის წინასწარ საგანგებოდ ემზადებიან პატარები, აღმზრდელები, მშობლები. სპეციალურად ამ დღისთვის დაწერილი ლამაზი სცენარის მიხედვით შერჩეულ "როლებს" ირგებენ პაწაწინა გოგო-ბიჭები... სწორედ ეს სულისკვეთება და განწყობა იგრძნობოდა კასპის ნომერ მეორე საბავშვო ბაგა-ბაღში გამართულ ზეიმზე. მეორე ბაღიდან ახალ სასწავლო წელს 37 პირველკლასელი მიუჯდება სასკოლო მერხს. ყოველი მათგანი მომზადებული და მოწესრიგებულია, იმ უნარ-ჩვევების მატარებელია, რაც უნდა გაჩნდეს სასკოლო ასაკის ბავშვს.

— ადრეულ ასაკში ბავშვისადმი სათანადო დამოკიდებულება და სწავლების ხელშეწყობა, მომავალში მისი პიროვნების ჩამოყალიბების, ინტელექტუალური, ფიზიკური, სოციალური და ემოციური მდგომარეობის ფორმირების აუცილებელ პირობას წარმოადგენს, — გვესაუბრება ბაგა-ბაღის გამგე თამარ ხოკრიშვილი, — ამიტომ ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებას განსაზღვრავს მის გარშემო არსებული სოციალურ-ეკონომიური და ფსიქოლოგიური განწყობა. შემიძლია სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ჩვენს ბაღში ამ თვალსაზრისით ყველაფერი სათანადოდ და გეგმაზომიერად ხორციელდება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბავშვებისათვის კომფორტული გარემოს შექმნას, ჰიგიენას, მათდამი სითბოსა და გულისხმიერების გამოჩე-

ნას, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აღზრდისა და სწავლების ნორმის დახვეწას. დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ ჩვენი ბაღის აღზრდილებმა მიიღეს ის ცოდნა, რომელიც დაეხმარება მათ სკოლის მასალის ადვილად დაძლევასა და სკოლასთან ადაპტირებაში.

რასაკვირველია, ეს ყველაფერი აღმზრდელის, ბაღის მთელი კოლექტივის დამსახურებაა. ამიტომაც იყო, რომ ამ საერთო მიღწევას ბაღის კოლექტივთან ერთად მშობლებიც სიამოვნებით ზეიმობდნენ დამამთავრებელი ჯგუფის გაცილებაზე. საინტერესო, მრავალფეროვანი ღონისძიება გაუმართეს ბავშვებსა და მშობლებს, მოწვეულ სტუმრებს, რომელთა შორის იყვნენ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი და გაერთიანების სპეციალისტები. გაცილების ღონისძიება, რომელიც საკუთარი სცენარის მიხედვით მოამზადა ბაღის გამოცდილმა პედაგოგმა ნანა დალაქიშვილმა, ყველას მოეწონა, ჟღერდა ულამაზესი სიმღერები, რამდენიმე სიმღერის მუსიკის ავტორი გახლდათ ბაღის მუსიკის მასწავლებელი ნინო მერებაშვილი, ბავშვებმა შეასრულეს ცეკვები, წაიკითხეს ლექსები, მინი-პოდიუმიც წარუდგინეს სტუმრებს... ძალიან კარგი სანახავი იყო ბავშვების მიერ გათამაშებული თეატრალიზებული წარმოდგენა "კაცია ადამიანი", სადაც ბავშვებმა შეძლებისდაგვარად გამოავლინეს ინტერპრეტაციის უნარი, რითაც ყველა მოიხიბლა და პატარები ტაშით დააჯილდოვეს. ღონისძიების ბოლოს ბავშვებმა იცეკვეს ვალსი, საინტერესო კი ის იყო, რომ ეს პოპულარული ცეკვა შესრულდა სიმღერის "მახსოვს პირველად" — ფონზე, ბავშვებთან ერთად მშობლებიც აჰყვნენ მუსიკას. ბოლოს, აღსაზრდელების მშობლებმა მადლობა გადაუხადეს ბაღის აღმზრდელ-მასწავლებლებს ნანა და მარინა დალაქიშვილებს, ეკა ქარჩავას, მთელ კოლექტივს, რომელთა მონდომება, ორგანიზებულობა და პასუხისმგებლობა დადებითად აისახება მათი შვილების აღზრდასა და ჩამოყალიბებაზე.

გამოიწერეთ "ახალი განთიადი" და გახდით ჩვენი მკითხველი!

შეგიძლიათ, მიგვაწოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ორიგინალური ფოტოები, ნახატები, აზრები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში

,,ყველაზე ეროლიბა გამოხმაურებაა

გაზეთ საუბრული საუბარი

ბავშვობაში ნათქვამი "ფრთიანი ფრაზები" მთელი ცხოვრება აოამაზებენ მოგონებებს, ისინი დამსახურებულად იკავებენ ადგილს ოჯახურ "ოქროს ფონდში," თაობიდან თაობას გადაეცემიან და ყველა შინაური-ული თავყრილობის მთავარი სახალისო საამბობნი ხდებიან. შეინახეთ თქვენი ბავშვობის საინ-ტერესო ნუთები ჩვენს რუბრიკაში "მაკნატუ-ნა" და გახდით სა-სურველი სტუმარი.

ოჯახიკა – ნელი-წადის მეხუთე დო ელოდება თქვენს მაქოხმაურებას. მოხმაანდით ბე-დაქციაში, მაგა-ანით თქვენი ნა-მუშევრები (ნამ-ოადგინეთ ელექტრონული ვერსია) და მაა-ანით ისინი ია-ზოვადოებას.



თბილისი ჟან შარდენის მიხედვით 1671.

,,ჯარითვერლებიც დროში უმშვენიერესია ვრომოცვლოებში და,, ...

*დასასრული.

თვალი მოჰკრათ აქაურ ქალს და არ შეგიყვარდეთ. თუმცა, ფრანგ მოგზაურს არ მოსწონს, რომ ეს მშვენიერი, თვალტანადი, წერწეტი და კეკლუცი ქალები ძალიან ბევრ ფერ-უმარილს ისვამენ.

შარდენს არ უნახავს ისეთი ქვეყანა, სადაც იმდენი კარგი სანოვაგის შოვნა შეიძლებოდეს, რამდენისაც საქართველოში (სამეგრელოს გამოკლებით, სადაც იმხანად ომია); არც მეორე ისეთი ადგილი ეგულება, სადაც ამდენ და თანაც ასეთ კარგ ღვინოს ამზადებენ და მიირთმევენ. როდესაც მას ქართლის მეფე ვახტანგი სასახლეში მიიპატიჟებს ნადიმზე, შარდენი გაკვირვებულია იმ წესრიგითა და სიწყნარით, რომელიც სუფრასთან სუფევს; ასევე – შესმული ღვინის ურიცხვი რაოდენობით; მოსწონს კერძების სიმრავლე, ლალ-ფირუზით მოოჭვილი ოქრო-ვერცხლის ჭურჭლეული.

მოგზაური ქართული ჰავის მშვენიერებასა და მარგებლობას წიგნის რამდენიმე ადგილას აღწერს: მოხიბლულია მთებისა და ტყეების სილამაზით, ვაკეებისა და ზეგნების კარგი ნიადაგით, ნაყოფიერი მიწებით. ევროპის არც ერთ ადგილას არ მოდის უკეთესი ვაშლი, მსხალი და ბროწეული, ვიდრე საქართველოში, – წერს შარდენი და უამბობს მკითხველს ვენახებისა და ბაღ-ბოსტნების სიმრავლეზე, მარცვლეულისა და მწვანილეულის სიუხვეზე, კარგი ჯიშის საქონელზე, რომელიც გზისპირებზე ბალახობს. მას ძალიან ეგემრიელება სასმელი წყალი და აღნიშნავს, რომ ყველგან მშვენიერი წყაროებია, თბილისის ცხელ გოგირდოვან წყლებში კი თურმე ჯანმრთელებიც განიბანებიან და სნეულნიც.

მოგზაური ქართველთა ჩაცმულობის ორიგინალობაზეც საუბრობს. მამაკაცის ჩოხა-ახალუხს იგი პოლონურ სამოსს ამსგავსებს, ქალებისას კი – სპარსულს. საინტერესოა, როგორ დაწვრილებით გვიყვება თოვლიან მთებში სასიარულო თხილამურებისძირიან ქალამნებზე, რომლის მსგავსი არსად უნახავს.

ზოგადი გეოგრაფიული აღწერილობისას დაშვებული შეცდომების მიუხედავად, შარდენმა მრავალი უნიკალური ცნობა და თანამგზავრი მხატვრის მიერ შესრულებული ნახატი შემოგვინახა, მათ შორის, იმდროინდელი თბილისის გრაფიკული სურათი.

შარდენი აღნიშნავს რომ, რადგან ქართლ-კახეთი სეფიანთა სპარსეთის ვასალია, ახლადაშენებული ნაგებობები სპარსულ არქიტექტურას წაგავს, ხოლო ძველი შენობები თვითმყოფადი ხუროთმოძღვრებით გამოირჩევა; ქართლში კი ეკლესიები უკეთესადაა მოვლილი, ვიდრე სამეგრელოში. მეფე მხოლოდ ფორმალურადაა მაჰმადიანი და ეკლესია-მონასტრებს მფარველობს. მას შეუმჩნეველი არ დარჩენია კოშკების, ციხეებისა და ეკლესიების ნანგრევები – ნაშთი საქართველოს ძველი დიდებისა და ოსმალო-სპარსეთის მძვინვარებისა. შარდენი გზად ნახულობს სპარსელთა შემოსევის შემდეგ ნახევრად დანგრეულ სვეტიცხოვლის ტაძარს. მეგზური კაპუცინი ბერი კი უამბობს, რომ საკუთარი თვალით ნახა სვეტიცხოველში დაცული სიწმინდეები – მაცხოვრის გვირგვინისა და კვართის ნაწილები.

თბილისში შარდენი თლილი ქვით ნაგები დედაეკლესიის, სიონის არქიტექტურას მოუხიბლავს, მაგრამ კედლის მხატვრობა არ მოსწონებია. მოგზაურობაში აღნიშნულია, რომ დედაქალაქში შესანიშნავი შენობები, ქარვასლები და სუფთა დუქნებია. ის გამორჩეულად აღუფრთოვანებია მეფის სასახლის დარბაზებს, მოვარაყებულ სვეტებსა და ბაღებს.

მანამდე კი, თავდაპირველად აფხაზეთის სამთავროს გამოივლის და ხომალდით ანაკლიის სანაპიროს მოადგება. მას სამეგრელოში ხიფათი და ომიანობა ხვდება. საქართველოს ამ ნაწილს არ სურს, ოსმალო დამპყრობლებს დაემორჩილოს. სრული განუკითხაობა, უკონტროლო თავადების ძალმომრეობა და ოსმალო მებაჟეთა პარპაში შარდენს აიძულებს, საკუთარი განძეულობა კათოლიკე მისიონერების მამულში გადამალოს, სამეგრელოდან გააღწიოს და განძი მოგვიანებით დაიბრუნოს, რასაც თავისი გამჭრიახობისა და მეგობრების დახმარების წყალობით ახერხებს კიდეც.

შარდენი გვიამბობს განწირულ სულისკვეთებაზე, რომლითაც სამეგრელოს სამთავრო ძლიერებით აღმატებულ მტერს ამაოდ ებრძვის. ძალზე სულისშემძვრელია მშვიდობიანი მოსახლეობის გახიზვნის სცენები: გზაზე ნახავდით ღონეგამოცლილ და მომაკვდავ სნეულებს, მოხუცებსა და პაწაწინა ბავშვებს, რომლებსაც სიარული აღარ შეეძლოთ და შველას ითხოვდნენ. მრავლისმნახველი ვაჭარი დამპყრობელთა დაუნდობლობასა და ქართველ ყმაწვილთა დატყვევების სურათებსაც შეუძრავს: ძალიან საცოდავი სანახავი იყო, როცა საწყალ ბავშვებს ჰგლეჯდნენ დედებს ხელიდან, გადაბამდნენ ორ-ორს ერთმანეთზე და მიჰყავდათ ოსმალოებთან.

ლიხის თოვლიანი ქედის გავლით შარდენი ჯერ ახალციხეში, შემდეგ გორში და ბოლოს თბილისში, მისივე სიტყვებით, აღმოსავლეთის ერთ-ერთ უკეთეს და უმშვენიერეს ქალაქში ჩადის. შაჰნავაზად წოდებულ ქართველთა მეფესთან შეხვედრა და ურთიერთობა მის მოწიწებასა და პატივისცემას იწვევს. მეფე საუბრისას შარდენს ევროპისადმი საკუთარ დამოკიდებულებას უმხელს და ამბობს, რომ მოხარული იქნება, თუ ევროპელები მის ქვეყანაში ჩამოვლენ და დასახლდებიან, ასევე საქართველოს გამოიყენებენ, როგორც აღმოსავლეთისაკენ მიმავალ გზას. სწორედ მეფის მფარველობითა და მისი მეგზურის დახმარებით იგი თავისი განძეულით მშვიდობიანად მიაღწევს სპარსეთის საზღვრამდე. შარდენმა კიდევ ბევრჯერ იმოგზაურა აღმოსავლეთის ქვეყნებში. მოწიფულ ასაკში ინგლისში გადასახლდა, სამეფო კარის იუველირი გახდა, დაოჯახდა და სერ ჯონ შარდენად აღესრულა. მადლიერმა ქართველებმა კი მას მწერლური გარჯა დაუფასეს და შარდენის სახელიც შესაბამისად უკვდავყვეს.

ფოტო-მეციანე

,,ახალი გაზეთიანი,, იძიებს ცალიერებლი ცოცხალთებს რაიონის ცვგაზეთი ფოტო-მეციანის შექმნაში. თხოვნით მივმართავთ თანარაიონელებს - ლაფოვეთ თქვენი ყველა ჩვენს მეციანეში! გამოგვიგზავნეთ ცალიერებლი ან ცხალოლები ფოტოები!

გამოგვიგზავნეთ!

"ჩვენ ვსწავლობთ ინგლისურს"

*** დასასრული. დასაწყისი იხილეთ მე-5 გვ.**

სტუმრებსა და მეგობრებს. ღია გაკვეთილი ნამდვილ დღესასწაულად გადაიქცა...

პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდა სკოლის დირექტორი ქეთევან ხითარიძე, რომელმაც დადებითად შეაფასა ბავშვების მიერ ჩატარებული ღია გაკვეთილი და შემდგომი წარმატება უსურვა მათ. ბავშვებს, ინგლისურის მასწავლებელს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს პედაგოგებმა, სასწავლო ნაწილმა ნინელი ყაზარაშვილმა, ნინო ხერკელაძემ, თეა ოდიშვილმა, მაია ბერიანიძემ, ვენერა ოღაძემ. კმაყოფილება გამოთქვეს პრეზენტაციაზე მოწვეულმა მშობლებმა: ლია ტატანაშვილმა, მანანა მწითურმა და სხვებმა, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ საკლასო ოთახის გალამაზებაში. ინგლისურის ღია გაკვეთილი მიმდინარეობდა ფოტო და აუდიო მასალის თანხლებით, რომელსაც უზრუნველყოფდა ნანა ემელინი.

რუსუდან ხეჩუაშვილი.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა ,,ქოლორში,,

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ ქასპი საკაკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76